ცივი ომის შემდგომი პერიოდი და ახალი მსოფლიო წესრიგის პარადიგმა

ავტორი: ნინო ახალაია

თბილისი 2020

სარჩევი

შესავალი 3

თავი I „ახალი მსოფლიო წესრიგის“ პარადიგმა ამერიკულ გეოპოლიტიკაში 5

თავი II გეოპოლიტიკა ცივი ომის პერიოდში 5

თავი 2.1 გეოპოლიტიკური კოდი ითვალისწინებს 6

თავი III. რკინის ფარდა 9

3.1 „დიდი გადანაწილების” ჰუმანიტარული შედეგები 11

თავი IV გლობალიზაცია. საერთაშორისო სისტემა და მსოფლიო წესრიგი 15

4.1 ცივი ომის შემდგომი მსოფლიოს სხვადასხვა ხედვა 16

4.2 გლობალიზაცია და ცივი ომის შემდგომი წესრიგი 17

დასკვნა 19

გამოყენებული ლიტერატურა 20

შესავალი

<u>თემის აქტუალობა</u> აღსანიშნავია, რომ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ სრულიად შეიცვალა მსოფლიოში არსებული სიტუაცია, ჩამოყალიბდა ახალი მსოფლიო წესრიგი და ახალი საერთაშორისო სისტემა. ადრე არსებული საერთაშორისო წესრიგი ძალთა თანასწორობის იდეას იზიარებდა და ძალთა ბალანსს ითვალისწინებდა. ძალთა ბალანსი განაპირობებს სისტემის სიმტკიცეს. მეორე მსოფლიო ომის დასრულებამ სამყარო ახალ რეალობაში მოაქცია.

ახალი მსოფლიო წესრიგი გულისხმობს მსოფლიოში არსებული პოლიტიკური აზროვნების რადიკალურ ცვლილებას და ძალთა ბალანსის გადანაწილების ახალ სურათს.

<u>ჰიპოთეზა</u> რა შედეგები მოჰყვა ცივი ომის დასრულებას, რომელმა სახელმწიფოებმა მოირგეს მთავარი აქტორების როლი მსოფლიო პოლიტიკაში და რა ტიპის წესრიგი დამყარდა საერთაშორისო სისტემაში?

ნაშრომი მორგებულია რეალიზმის თეორიაზე და ხაზს უსვამს, რომ ცივი ომის დასრულების შედეგად ცივი ომის დასრულების შემდგომ დიდი სასიკეთო ძვრები არ მომხდარა და გარკვეული თვალსაზრისით მდგომარეობა უფრო დაძაბული და გაურკვეველი გახდა.

ჯონ მერშაიმერის ნაშრომში „უკან მომავლისკენ ცივი ომის დასასრული უარყოფითად იქნა შეფასებული, მერშაიერის აზრით ცივმა ომმა მსოფლიო გადაარჩინა ქაოსს და ომებს, ცივი ომის დასრულების შემდეგ კი ეს წონასწორობა დაირღვა, რადგან ბიპოლარული სისტემა დაიშალა.

ჰანთიგტონის „ცივილიზაციათა შეჯახებ“-აში ნათქვამია, მოსაზრება იმის შესახებ, რომ ცივი ომის შემდგომ მსოფლიოს გლობალური ომი არ ემუქრება ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული.

რობერტ კაპლანი თავის ნაშრომში „მომავლის ანარქია“ ხაზს უსვამს, რომ სწორედ სამხრეთიდან ჩრდილოეთში მომავალი ანარქია იქნება ცივი ომის შემდგომი მსოფლიო წესრიგის დამანგრეველი ფაქტორი.

<u>კვლევის მიზანი და ამოცანები</u> კვლევის მიზანს წარმოადგენს მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ჩამოყალიბებული ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების

განხილვა, თუ რა შედეგების მომტანი შეიძლება იყოს კონკრეტული სახელმწიფოებისთვის ეს ახალი საერთაშორისო სისტემა.

ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევა წარმოებულია მრავალი მეცნიერისა და მკვლევარის ნაშრომებისა და სტატიების საფუძველზე, კვლევის მონაცემები ეფუძნება საკვლევ სფეროში არსებული ღია წყაროებისა და დოკუმენტების ანალიზს, მეცნიერულ გამოკვლევებს და პუბლიკაციებს. მუშაობის პროცესში გამოყენებულმა შინაარსის ანალიზის მეთოდმა დიდი დახმარება გაგვიწია რაციონალურ კვლევაში. რა მოვლენები ვითარდებოდა ცივი ომის დასრულების შემდგომ, რომელი სახელმწიფოები ლიდერობდნენ და ვისი გავლენის სფეროების ქვეშ მოექცა ამ პერიოდში მსოფლიო, როგორი იყო გეოპოლიტიკა ცივი ომის პერიოდში და როგორ გადანაწილდა ძალთა ბალანსი და რა ვითარება იყო ორ ზესახელმწიფოს, ამერიკის შეერთებულ შტატებასა და საბჭოთა კავშირს შორის.

თავი I „ახალი მსოფლიო წესრიგის“ პარადიგმა ამერიკულ გეოპოლიტიკაში

ტერმინმა ,,ახალი მსოფლიო წესრიგი'' განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა საბჭოთა კავშირის დამხობის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ მისი გამოყენება მსოფლიოს მთავარმა აქტორებმა აქტიურად დაიწყეს, მისი სრული დამკვიდრება დიდხანს ვერ მოხერხდა, რადგან ამ პროცესს მრავალი შეთქმულება უშლიდა ხელს. გარდა ამისა ეს პარადგიმა მნიშვნელოვანი მსფლიო ისტორიული პროცესების ერთობლიობას წარმოადგენს და აყალიბებს მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესების ქრონოლოგიას. ამ მოვლენებში ერთიანდება საფრანგეთის რევოლუცია 1789 წელს, რუსეთის რევოლუცია 1917 წელს, ცივი ომი, ტერორზმთან ბრძოლა და ა.შ. მსოფლიო პოლიტიკისთვის ახალი მსოფლიო წესრიგის დამკვიდრება და განხორციელება უმთავრეს მიზანს წარმოადგენს. ახალი მსოფლიო წესრიგის მთავარი მიზანია მსოფლიოში ლიდერობისთვის ბრძოლა.

თავი II გეოპოლიტიკა ცივი ომის პერიოდში

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა მსოფლიო პოლიტიკა და ჩამოყალიბდა ახალი საერთაშორისო სისტემა, ამ პერიოდამდე არსებული საერთაშორისო წყობა ეყრდნობოდა ძალთა თანასწორობას, რაც ითვალისწინებდა ძალთა ბალანსს. ამ ბალანსის დარღვევას მოყვებოდა სისტემის დაშლა, რაც თავისთავად ახდენდა ომების პროვოცირებას და ამას მოყვებოდა ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარება.

სერთაშორისო სისტემის ნებისმიერი ტიპი ითვალისწინებს შესაბამის გეოპოლიტიკურ წესრიგს. სისტემის რომელიმე ერთი ტიპის მეორე სხვა ტიპით ჩანაცვლებას, რაც ომების სახით ვლინდება გეოპოლიტიკური ტრანზაცია ეწოდება.

ყველა საერთაშორისო სიტემა მრავალპოლუსიანია, ვინაიდან ძალის რამდენიმე პოლუსი ვლინდება, ძალის პოლუსი გულისხმობს რამდენიმე დაწინაურებულ სახელმწიფოს, რომელიც აყალიბებს პოლიტიკურ პროგნოზს. გეოპლოიტიკური წესრიგის და სტაბილურობის შენარჩუნება სწორედ, რომ ასეთ სახელმწიფოებს შორის ძალის ბალანსზეა დამოკიდებული. ეს არის ძალთა წონასწორობა და ეს ტიპი საერთაშორისო სისტემაში ყველაზე მასშტაბურად არის გავრცელებული.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიო პოლიტიკა და საერთაშორისო სისტმა აღმოჩნდა სრულიად ახალი გამოწვევის წინაშე. უკვე არსებულმა ძალის პოლუსებმა:

გერმანიამ, იტალიამ, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და იაპონიამ დათმეს ლიდერის სტატუსები და ეს სტატუსი მოიპოვეს საბჭითა კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. აქედან გამომდინარე საერთაშორისო სისტემა ორპოლუსიანი ანუ ბიპოლარული გახდა.

ორი პოლუსის გამოკვეთას და დაპირისპირებას მოყვა ახალი გეოპლოტიკური წესრიგის დამკვიდრება. ეს დაპირისპირება ცივი ომის სახელოწდებით არის ცნობილი. ამ სისტემაში 45 წლის განმავლობაში მონაცვლეობითი იყო ორ დიდ ძალას შორის დაძაბულობის გამწვავება და შედარებით ურთირთობების დათბობა. ამერიკის შეეერთებული შტატებიც და საბჭოთა კავშირიც საკუთარი სახელმწიფო ინტერესებისა და მიზნების მიხედვით მოქმედებდნენ და წარმართავდნენ პოლიტიკას. ეს პროცესი სპეციალურ ლიტერატურაში ნახსენებია, როგორც გეოპოლიტიკური კოდი.

თავი 2.1 გეოპოლიტიკური კოდი ითვალისწინებს

- სახელმწიფო ინტერესებს
- იმ საფრთხეების განსაზღვრას, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს სახელმწიფო ინტერესების ხორცშესხმას
- საფრთხეების პრევენციას
- საპასუხოდ დაგეგმილი ღონისძიებების დასაბუთება

ყველა სახელმწიფოს თავისი გეოპოლიტიკური კოდი გააჩნია. დიდი ქვეყნების გეოპოლიტიკური კოდები პატარა ქვეყნებს იმორჩილებენ და მათ თავიანთი წესების მიხედვით მოქმედებას აიძულებენ.

გეოპოლიტიკური კოდები უნდა თავსდებოდეს ერთმანეთთან და ეს თანხვედრა უწყობს ხელს გეოპლოიტიკური წესრიგის ჩამოყალიბებას. სახელმწიფოებს სიდიდისა და სიძლიერის მიხედვით გეოპლიტიკური კოდები სხვდადასხვაგვარი აქვს. არსებობს გლობალური, ლოკალური და რეგიონული გეოპლიტიკური კოდები.

გლობალური კოდი გააჩნიათ მხოლოდ პირველხარისხოვან სახელმწიფოებს, რომელთაც ლიდერის პოზიცია უჭირავთ და რომელთა მიზნებიც და ამბიციებიც გავრცელებულია მთელს მსოფლიოში.

ლოკალური კოდი უზრუნველყოფს სუვერენიტეტის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და უსაფრთხოების დაცვას და ეს კოდი ყველა სახელმწიფოს გააჩნია.

რეგიონული კოდი აქვთ ისეთ ქვენყნებს, რომელთაც აქვთ ამბიცია რეგიონში იყვნენ ლიდერები და ეს კოდი ამ სახელმწიფოებს უწყობს ხელს, რომ მეზობელ სახელმწიფოებში მათი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული სიძლიერე დამკვიდრდეს და საკუთარი გავლენის დემონსტრირება მოახდინონ.

ალტერნატიული გეოპოლიტიკური კოდები

უკვე ცნობილია, რომ ცივი ომის პერიოდში მსოფლიო პოლიტიკას განსაზღვრავდა საბჭოთა კავსირისა და აშშ-ს გლობალური გეოპლოტიკური კოდები, თუმცა არსებობდა სხვა გეოპოლიტიკური კოდებიც. გლობალური გეოპლოიტიკური კოდი გააჩნდა ბრიტანეთსაც და ჩინეთსაც.

საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა, მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე დაიწყო ფიქრი იმაზე, რომ ევროპამ სრულიად დაკარგა მსოფლიო პოლიტიკაში წარმმართველის როლი და ეს როლი აიტაცეს აშშ-მ და სსრკ-მ, თან ვერცერთი ევროპული ქვეყანა ვერ დაეწეოდა ამ ორ ძლიერ სახელმწიფოს თავისი ეკონომიკური თუ სამხედრო შესაძლებლობებით და ვერ შეძლებდა მათთვის წინააღმდეგობის გაწევას. ეს მხოლოდ ევროპის სრული გაერთიანებით იყო შესაძლებელი. დეგოლის მიზანი იყო ჩამოეყალიბებინა გაერთიანებული ევროპა სადაც ლიდერი საფრანგეთი იქნებოდა. ამისთვის საჭირო იყო დამარცხებულ ქვეყნებთან, გერმანისთან და იტალიასთან, ასევე ბენილუქსის ქვეყნებთან მეგობრული და ეკონომიკური კავშირების ჩამოყალიბება.

დე გოლი თვლიდა, რომ დიდი ბრიტანეთი ამ გაერთიანებაში არ უნდა ყოფილიყო, რადგან ფიქრობდა რომ ის ევროპული სახლემწიფო არ იყო და გარდა ამისა ბრიტანეთი წარმოადგენდა ამერიკელების დიდ ძალას ევროპულ სამყაროში. დე გოლის გარდაცვალების შემდეგ ბრიტანეთი მაინც შეუერთდა ამ ევროპულ გაერთიანებას, ასევე შეურთდნენ, ირლანდია, პორტუგალია, ესპანეთი, დანია და საბერძნეთი.

მიუხედავად იმისა რომ, დე გოლის ამ გაერთიანებას ქონდა გარკვეული წარმატებები ცივი ომის პერიოდში, ის მაინც ვერ გახდა მესამე დიდი ძალა სსრკ-სა და აშშ-ს მერე. მასზე, როგორც ცალკე ძალაზე საუბარი ცივი ომის შემდეგ გახდა შესაძლებელი, როცა ევროკავშირის სახელით 28 ქვეყანა მოიცვა და პოლიტიკურ გაერთიანებად იქცა.

მეორე ალტერნატიულ გეოპოლიტიკურ კოდს წარმოადგენს ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ჯავაჰარლალ ნერუს მიერ ჩამოყალიბებული გაერთიანება: მიუმხრობლობის

მოძრაობა. ამ გაერთიანებაში ლიდერი ინდოეთი უნდა ყოფილიყო. ქალაქ ბანდუნგში 28 სახელმწიფომ განაცხადა რომ ისინი არცერთ პოლიტიკურ სამხედრო ბლოკში არ გაწევრიანდებოდნენ და არც ერთ მხარეს არ დაუჭერდნენ მხარს აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირებაში, თუმცა ეს არ იყო ნეიტრალიტეტის პოლიტიკა, ეს გულისხმობდა რომ ისინი არცერთ ძალას არ მიემხრობოდნენ, არცერთ ბლოკში არ გაწევრიანდებოდნენ და რჩებოდნენ ბიპლოარული სისტემის მიღმა.

ვერც ნერუს გაერთიანება გახდა მესამე ძალის პოლუსი, თუმც მან ხისტი ბიპოლარული სისტემა შეცვალა რბილი ბიპოლარული სისტემით. ცივი ომის დასრულების შემდეგ დაიშალა ბიპოლარული სისტემა და შესაბამისად ნერუს გაერთიანებამაც შეწყვიტა არსებობა.

ცივი ომის დასრულება და ბიპოლარულის სისტემის ახალი საერთაშორისო სისტემით ჩანაცვლება არ ყოფილა ომის შედეგი. ამიტომაც ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად არსებული სისტემა სრულიად განსხვავდება ადრე არსებული ყველა საერთაშორისო სისტემისგან, რომლებიც ომებისა და სხვადასხვა შეთანხმებების შედეგად ყალიბდებოდა.

90-იან წლებში საზოგადოების ნაწილი თვლიდა რომ ორპოლუსიანი სისტემა ჩაანაცვლა ერტპოლუსიანმა სისტემამ და სრული გავლენა მსოფლიოში მოიპოვა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, მეორე ნაწილი მიიჩნევდა, რომ დადგა საყოველთაო მშვიდობიანობის დამკვიდრების დრო და ძლიერი სახელმწიფოების ნაცვლად მსოფლიო პოლიტიკას წარმართავდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები და საერთაშორისო სამართალი.

უმეტესობა კი თვლიდა რომ ამჟამინდელი საერთაშორისო სისტემა მულტიპოლარულ სისტემას წარმოადგენს და ძალთა ბალანსი გადანაწილებულია, ამერიკას, რუსეთს, ჩინეთს ევროკაშირსა და ინდოეთს შორის. მაგრამ დღეისათვის, როცა გლობალიზაცია დამკვიდრდა მსოფლიოში და ადამიანები და სახელმწიფოები მჭიდროდ არიან ერთმანეთზე დამოკიდებულები კულტურულად და ეკონომიკურად, აზრი დაკარგა ძალთა პოლუსების განხილვამ. საზოგადოების მთავარ მიზანს წარმოადგენს სტაბილურობა, ეკონომიკური აღმავლობა და საყოველთაო მშვიდობა[1] [7].

[1] დავითაშვილი ზ., გეოპოლიტიკა ცივი ომის პერიოდში. ხელმისაწვდომია: file:///C:/Users/NINO/Downloads/Paradigma-2%20(1).pdf

თავი III. რკინის ფარდა

1946 წლის 6 მარტს ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა უინსტონ ჩერჩილი სადაც მან განაცხადა, რომ „ევროპაში მთელი კონტინენტის გადაჭრით რკინის ფარდა დაეშვა, აღმოსავლეთ და ცენრალური ევროპის დედაქალაქები აღმოჩნდნენ რკინის ფარდის მიღმა. ვარშავა, ბერლინი, პრაღა, ვენა, ბელგრადი, ბუდაპეშტი, სოფია და ბუქარესტი. ეს ქალაქები უნდა დაემორჩილოს საბჭოთა კავშირს. ეს ქვეყნები მოსკოვს არამარტო ემორჩილებიან არამედ მეტიც, მისგან მუდმივი ზეწოლის ქვეშ იქნებიან. ცოტა დრო დაგვრჩა, უნდა ვიმოქმედოთ და არ მივცეთ მოვლენებს ასე განვითარების უფლება.“ ეს სიტყვები სსრკ-ში მაშინვე დასავლეთის მხრიდან ცივი ომის გამოცხადებად მიიღეს.

ჩერჩილი თვლიდა, რომ აუცილებლად უნდა შექმნილიყო ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის გაერთიანება. შემდგომში კი ამ გაერთიანებას უნდა შეერთებოდა თავისუფალი ქვეყნები. ჩერჩილი ჯერ კიდევ 1930 წელს მოუწოდებდა მსოფლიოს ნაცისტური გერმანიის რეჟიმის საშიშროებაზე, ამჯერად კი ტოტალიტარიზმის სასშიშროებაზე აფრთხილებდა მსოფლიოს. შემდგომში ნათელი გახდა რომ ჩერჩილი ამჯერადაც არ ცდებოდა. და კაცობრიობამ, რომ მესამე მსოფლიო ომიც არ იწვნია, ამას ჩერჩილს უნდა უმადლოდეს.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ჰარი ტრუმენმა სტალინისგან გამოწვევა მიიღო და 1946 წლის მარტში ახალი დოქტრინა გამოცხადდა. ეს დოქტრინა გულისხმობდა რომ ამერიკა დაიცავდა იმ თავისუფალ საზოგადოებას, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ იმ შეირარებულ ძალებს რომელთა განზრახვაც მათი დაპყრობა იყო.

გარდა ამისა ამერიკამ სამხედრო და ეკონომიკური დახმარება გაუწია საბერძნეთსა და თურქეთს. რამდენიმე თვეში ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჯორჯ მარშალმა ჰარვარდის უნივერსიტეტში წარმოადგინა გეგმა, რომელიც გულისხმობდა ევროპისთვის ეკონომიკური დახმარების გაწევას. ამ გეგმის დახმარებით ფეხზე უნდა წამომდგარიყო ომის შედეგად დასუსტებული ევროპა. მარშალმა განაცხადა რომ „ეს გეგმა მიზნად ისახავდა უიმედობის, სიღარიბის ჩახშობას და ის არ იყო რომელიმე კონკრეტული ქვიყნის წინააღმდეგ მიმართული გეგმა“.

ამ გეგმამ ევროპა მართლაც გაძლიერების გზაზე დააყენა და დასავლეთ ევროპის გაერთიანებასაც დაუდო საფუძველი. ომის შედეგად განადგურებულ საბჭოთა კავშირშიც

სტალინმაც არანაკლებ სწრაფად მოახერხა ეკონომიუკრად გაძლიერება. დაახლოებით 1950 წლისთვის მრეწველობის დიდი ნაწილის აღდგენა მოხდა. სტალინმა საკვებზე ფასებიც კი საგრძნობლად შეამცირა. ეს კი მოსახლეობაში დადებით განწყობას და კმაყოფილების გრძნობას ქმნიდა.

მარშალის გეგმის შემდეგ აუცილებელი გახდა ჩამოყალიბებულიყო ამ ევროპული სახელმწიფოების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფი სისტემა. ეს მისია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია-NATO-მ იკისრა. 1948 წლის დასაწყისში საბერძნეთი აღმოჩნდა კომუნისტური ზეწოლის საფრთხის წინაშე. აპრილში კი მოსკოვი ბერლინის ბლოკადას შეუდგა.

ივნისში კი ჩეხოსლოვაკიაში სახელმწიფო გადატრიალება მოაწყვეს. სწორედ ჩეხოსლოვაკიაში განვითარებულმა მოვლენებმა განაპირობა NATO-ს შექმნა. სანამ NATO შეიქმნებოდა მსოფლიოში კიდევ მრავალი სამხედრო გაერთიანება შექიმნა, თუმცა NATO მათზე პრიორიტეტული იმ ნიშნით იყო, რომ ეს ალიანსი ორიენტირებული იყო ზნეობრივ უპირატესობებზე.

აღსანიშნავია, რომ დემოკრატიული ასპექტების გათვალისწინებით NATO-ს შექმნა სრულიად უნაკლოდ არ მომხდარა. ანუ იგულისხმება რომ NATO-ს დამაარსებელ სახელმწიფოებს შორის იყო პორტუგალიაც, რომელიც პროფაშისტური გახლდათ.

ვაშინგტონის ხელშეკრულების ყველაზე მთავარი დებულება ჩამოყალიბებულია მე-5 მუხლში, რომელიც გულისხმობს, რომ, თუ დავდასხმა განხორციელდება ევროპის რომელიმე მხარეზე, ეს მიჩნეული იქნებოდა როგორც თავდასხმა ყველაზე. ხელშეკრულებაში არ იყო ხაზგასმული ნატო-ს წევრი ქვეყნები ვისგან ელოდნენ თავდასხმას.

ამერიკის შეერთებული შტატების სენატში სენატორმა კოლენმა განაცხადა, რომ „ნატო არ იყო მხოლოდ ერთგვარი სამხედრო გაერთიანება არამედ ის იყო გაერთიანება ომის და აგრესიის წინააღმდეგ.“ თუმცა საბჭოთა კავშირის აგრესორად დასახელება აუცილებელი არც, იყო ვინაიდან ისედაც ნათელი იყო, რომ მთავარ საფრთხეს დასავლეთის სამყაროს სწორედ რომ სსრკ უქმნიდა.

სავარაუდოდ პოლიტიკურმა აგრესორმა სტალინმა სათანადოდ ვერ შეაფასა ამერიკელების შინაგანი ხასიათი და ვერ გამოიცნო თუ რა რეაგირებას მოახდენდნენ ისინი კრემლის აგრესიაზე. იმის შემდეგ როცა ამერიკამ უგულებელყო კრემლი უკან მოსაბრუნებელი გზა აღარ არსებობდა, დიპლომატიურ მოლაპარაკებებზე ფიქრი აზრს მოკლებული იყო.

ვაშინგტონი გადაწყვეტილაბას აკეთებდა ორ საკითხს შორის: ან უნდა შეეცვალა საბჭოური სისტემა ან საერთოდ უნდა დაეშალა იგი. კრემლისთვის საკმაო საფრთხეს წარმოადგენდა ძალადობის შედეგად საბჭოთა კავშირის გავლენების გაზრდა, ვინაიდან აღმოსავლეთ ევროპაში ვერ გაბატონდებოდა ეკონომიკური სიძლიერის გარეშე. ამ სახელმწიფოებში კომუნისტურ რეჟიმებს ძალიან მცირე ნაწილი უჭერდა მხარს. რაც იმას ნიშნავდა, რომ პოლიტიკური კრიზისი მძვინვარებდა.

საბჭოთა ლიდერები ცივი ომის მიზეზების წარმოჩენას და გადმოცემას თავისებურად ახდენდნენ: „მას შემდეგ, რაც დაინგრა ფაშისტური რეჟიმები, საჭირო გახდა ახალი ევროპის შექმნა, ამ საკითხის მთავარი დებულებები პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებებით იყო შეჯერებული. თუმცა დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში კონკრეტულმა ძალება ნატოს შექმნა გადაწყვიტეს, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იყო მიმართული“.

1949 წლის მაისში შეიქმნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა რაც ამერიკის, საფრანგეთის და ბრიტანეთის საოკუპაციო საზღვრების გაერთიანების შედეგი იყო. ეს სტალინმა დასავლეთისგან თვალსაჩინო გამოწვევად ჩათვალა. სტალინმა გერმანიის გაერთიანებული რესპუბლიკისა და ნატოს დაარსების საპასუხოდ 1949 წლის 29 აგვისტოს ყაზახეთის უდაბნოში ატომური ბომბი გამოცადა.

3.1 „დიდი გადანაწილების” ჰუმანიტარული შედეგები

1950 წელს ევროპის დიდი გადანაწილება თითქმის დამთავრდა. რკინის ფარდის აქეთ არსებული სახელმწიფოები თანდათან მშვიდ და სტაბილურ ცხოვრებას დაუბრუნდნენ. თუმცა უმეტესი ნაწილისთვის მშვიდობიანობა ფორმალური ჩანდა. შეიძლება ითქვას, რომ მათ ომის დასრულების შემდეგ მშვიდობა აშინებდათ. ომის დასრულების შემდეგ საბჭოთა კავშირში და მათშორის საქართველოში დიდი იმედი არსებობდა, რომ ეს ომი უკანასკნელი იქნებოდა მსოფლიოსთვის.

ხალხს სწამდა, რომ გამარჯვებისა და ამხელა ტანჯვის გამოვლის შემდეგ სტალინი მათ არ დააბრუნებდა კოშმარულ 30-იან წლებში. ატყობდნენ, რომ მათი ცხოვრება უკეთესობისკენ იცვლებოდა, გრძნობდნენ პროგრესს და ამიტომაც არ კარგავდნენ იმედს და მტკიცედ იყვნენ. თუმცა აანალიზებდნენ, რომ ბოლომდე არავის არ უნდა ნდობოდნენ.

ჩეკა მათ ყოველთვის ადევნებდა თვალყურს და აკონტროლებდა მათ ცხოვრებას. დროდადრო ისევ ავლენდნენ მოღალატეებს, ისევ მრავალრიცხოვნად იყვნენ პატიმრები.

ბევრმა საბჭოთა არმიის დეზერტირმა სიცოცხლე ტრაგიკულად დაასრულა. უნდა აღინიშნოს, რომ სტალინისგან დიდად განსხვავებული აზრი სამხედრო ტყვეების მიმართ არც ჩერჩილს გააჩნდა. ჩერჩილი ამბობდა „სამხედროო ტყვე არის ადამიანი რომელიც ცდილობს შენს მოკვლას, და თუ ეს არ გამოუვა, მერე შენ შეგთხოვს რომ თვითონ არ მოკლა“.

1944 წელს იალტის კონფერენციაზე გადაწყდა რომ დასავლეთი საბჭოთა ტყვეებს გადასცემდა ისევ საბჭოთა კავშირს. ყველა მათგანი და მათი ოჯახის წევრებიც, რომლებიც სრულიად უდანაშაულოები იყვნენ მოათავსეს საკონცენტრაციო ბანაკებში.

საფრანგეთში ოჯახთან ერთად მყოფი ემიგრანტებიც კი მოხიბლა სტალინის რეჟიმმა და მათ გადაწყვიტეს ომის დასრულების შემდეგ დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში, თანაც მათ აჯერებდნენ საბჭოთა ემისრები, რომ თუ მათ არ მოეწონებოდათ მათ საქართველოში არსებული სიტუაცია, უმალ შეძლებდნენ უკან გაბრუნებას, მაგრამ საქართველოს ნაცვლად ისინი აღმოჩნდნენ ყაზახეთის ნახევარუდაბნოებში და მხოლოდ სტალინის გარდაცვალების შემდეგ მიეცათ შესაძლებლობა ჩამოსულიყვნენ საქართველოში. სტალინს გაანალიზებული ქონდა რომ ომში გამარჯვებული ხალხი მისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა.

ბალტიისპირეთის პატარა სახელმწიფოებში მოლოტოვ-რიბენტროპის საიდუმლო შეთანხმების შედეგად, 1939-1941 დაიწყო რეპრესიები. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ გადასახლებულთა და განადგურებულთა რიცხვმა ოფიციალური მონაცემებით 125 000-ს გადააჭარბა.

მათ რიცხვებში აღმოჩნდნენ ყოფილი მთავრობის წარმომადგენლები და მათი ოჯახის წევრებიც. 1941-44 წლებში ფაშისტურმა გერმანიამ დაიწყო რეპრესიები მათ წინააღმდეგ ვინც მხარს უჭერდა საბჭოთა რეჟიმებს. ნაცისტებმა ათიათასამდე ებრაელი დააკავეს და გაამწესეს საკონცენტრაციო ბანაკებში. მათი უმეტესი ნაწილი იქ გარდაიცვალა.

1944 წლის შემდეგ ბალტიისპირეთის პატარა სახელმწიფოებს საბჭოთა ოკუპაციის მერე რეპრესიების მორიგმა ტალღამ გადაუარა. 1949 წელს საბჭოთა კავშირმა გამოსცა ბრძანება რომ გამოეძევებინათ და დეპორტი ჩაერტყათ ბალტიის პირეთიდან კულაკებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის, ასევე ბანდიტებისთვის და ნაციონალისტებისთვის.

1953 წლამდე 200 0000-მდე ადამიანი გააძევეს, მათშორის 75 000 გულაგებში გაამწესეს, აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას რომ მოსახლეობის საერთო შემადგენლობის 10 % დეპორტაციას ემსხვერპლა. ამ მოვლენების პარალელურად ინტენსიურად მიმდინარეობდა ბალტიის პირეთში საბჭოთა კავშირის დანარჩენი რეგიონებიდან რუსების ჩასახლება. ომის დასრულების შემდეგ საბჭოთა კავშირის მიერ დაკავებულ სხვა რეგიონებიდანც დაიწყო მოსახლეების დეპორტაცია.

300 000-მდე მოსახლე მოლდოვიდან ციმბირსა და შუა აზიაში გადაასახლეს. კალინინგრადში, ადგილობრივი გერმანული მოსახლეობა ჩაენაცვლა რუსებით. საერთო ჯამში გადასახლებულთა რიცხვმა 3 მილიონს მიაღწია. აღმოსავლეთ ევროპელთა ძალიან დიდი ნაწილისთვის მშვიდობის დასამკვიდრებად ბრძოლა ტრაგიკულად დასრულდა.

გერმანელი ფაშისტების სადიზმზე და სისასტიკეზე ბევრი მითქმა-მოთქმა არსებობდა, თუმცა ეს საკითხი ჯერ არ ამოწრულა. თითქმის არ არსებობს ცნობები იმ ველურობაზე და სადიზმზე რაც გერმანელების წინააღმდეგ ხორციელდებოდა ომის დასრლების შემდეგ. 1944 წელს იალტაში, ჩერჩილმა, რუზველტმა და სტალინმა გადაწყვიტეს, რომ ევროპაში მშვიდობის შესანარჩუნებლად საჭირო იყო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები გაეთავისუფლებინათ ეთნიკური გერმანელებისგან.

ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა დაიწყეს 1945 წლიდან და 1945-47 წლებში უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, იუგოსლავიასა და პოლონეთში საკუთარი საცხოვრებლებიდან ძალის გამოყენებით გამოყარეს და გერმანიაში გადაასახლეს დაახლოებით 7 მილიონი ეთნიკური გერმანელი. მათი დიდი ნაწილი გზაში დაიღუპა.

არანაკლებ ტრაგიკული შედეგები გამოიწვია პოლონეთის საზღვრების შეცვლამ. სტალინმა იმდენი მოახერხა, რომ პოლონეთის აღმოსავლეთი ტერიტორიები საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში გადავიდა. პოლონეთმა კი დასავლეთით გერმანიის ტერიტორიების ნაწილი მიიღო.

ამ პერიოდში განხორციელდა მსოფლიოში ყველაზე დიდი იძულებითი ემიგრაცია. ებრალები რომლებმაც ჰიტლერის საკონცენტრაციო ბანაკებს თავი დააღწიეს, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ძალიან მცირე ნაწილმა მოახერხა, მას შემდეგ რაც აღმოსავლეთ ევროპაში სახლებში დაბრუნდნენ ისევ ძალადობას და აგრესიას გადააწყდა. 200 000 ზე მეტი რაოდენობის ებრაელს აიძულეს, რომ გადასახლებულიყვნენ ან ოკეანის იქით ან ახალშექმნილ ისრაელის სახელმწიფოში. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა დაიცალა ებრაელებისგან.

თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ ებრაელები მშვიდ ცხოვრებას ისრაელშიც ვერ პოვებდნენ. 1948 წელს როცა პალესტინის ტერიტორიაზე ისარელის სახლემწიფო შეიქმნა, ამან უკმაყოფილება გამოიწვია ადგილობრივ და მეზობელ ქვეყნებში მცხოვრებ არაბულ მოსახლეობაში, რაც შემდგომში ომშიც გადაიზარდა. ამ მოვლენების შემდეგ პალესტინაში მცხოვრები 750 000-მდე არაბმა მიატოვა ისრაელის გავლენის ქვეშ მოქცეული ტერიტორიები. ამის საპასუხოდ არაბულ სახელმწიფოებში მცხოვრები 500 000-მდე ებრალიც ანალოგიურად გადაასახლეს არაბმა ნაციონალისტებმა ისრაელში.

1947 წელს ინდოეთის დამოუკიდებლობის გამოცხადემაბ ძალიან დიდი ადამიანური დანაკარგი გამოიწვია. მუსლიმებისა და ინდუსების სისხლიან შეტაკებას ძალაინ ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. პაკისტანსა და ინდოეთს შორის მოსახლეობის გაცვლამ კი 15 მილიონზე მეტი ოჯახი უსახლ-კაროდ დატოვა.

ომის დასრულების შემდეგ მოკავშირეების მიერ შექმნილი გაერთიანება და მშვიდობიანობა ისევ უნდობლობაში გადაიზარდა. სტალინი, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ უნდობლობით იყო განწყობილი. აშშ და დიდი ბრიტანეთი ანალოგიურად იყვნენ განწყობილი საბჭოთა კავშირის მიმართ. ქვეყნებს, რომელშიც საბჭოთა ჯარები არ იყვნენ განლაგებულნი სტალინი არ ენდობოდა. რაც არ უნდა რთული დასაჯერებელი იყოს სტალინს მისი უერთგულესი მეგობრის მაო ძე დუნის ნდობაც დაკარგული ქონდა. მოსახლოების რაოდენობით პირველ ადგილზე მყოფი ქვეყანა ჩინეთი საბჭოთა კავშირის ყველაზე სტრატეგიულ მეგობრად ითვლებოდა. ეს საბჭოთა კავშირისთვის ძალიან დიდი ძალა იყო[2] [1, 21-23].

[2] აბაშიძე ზ., ცივი ომი. 2009 წელი, 21-32 გვ.

თავი IV გლობალიზაცია - საერთაშორისო სისტემა და მსოფლიო წესრიგი

გლობალიზაციისთვის ყველაზე მნიშვნელოვან თვისებად ითვლება მსოფლიო პოლიტიკის და საერთაშორისო სისტემების რადიკალურად გარდასახვა. მსოფლიო მნიშველოვნად განსხვავდება ცივი ომის დასრულების შემდეგ ცივი ომის წინა პერიოდებთან შედარებით. განსხვავება შეინიშნება, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი აქტორების ურთიერთობებში ასევე, ძალთა გადანაწილებით და ერთმანეთთან კონტაქტების დამყარების ფორმატით.

საერთაშორისო სისტემების ჩამოყალიბების ქრონოლოგია და ისტორიული აღწერა იძლევა იმის საშუალებას, რომ გამოვკვეთოთ საერთაშორისო სისტემის განვითარების ეტაპები.

1. **ვესტფალიის სისტემა** - ამ სისტემამ საერთაშორისო ურთიერთობების უმთავრეს ფიგურად ჩამოაყალიბა ერი-სახელმწიფოები და ამით ძირფესვიანად გარდაქმნა უკვე არსებული სისტემა.
2. **ვენის სისტემა** - ევროპის პოლიტიკური რუკა ამ სისტემის მეშვეობით რადიკალურად შეიცვალა. ძალთა წონასწორობის ახალი ფორმა ჩამოყალიბდა. დაწინაურდნენ ავსტრია და პრუსია. გერმანული სახელმწიფოების რიცხვმა 38-ს მიაღწია. გერმანული ენის ეროვნული სულისკვეთების ჩამოყალიბებამ უბიძგა გერმანულ სახელმწიფოებს გაერთიანებისკენ.
3. **ვერსალის სისტემა** - წარმოადგენდა ახალი გეოპლოიტიკური წესრიგის ჩამოყალიბების წინაპირობას ევროპაში. ამ სისტემას უნდა გაემყარებინა ბრიტანეთისა და საფრანგეთის ბატონობა, გერმანია კი მეორეხარისხოვნად გამოვლინდებოდა. გარდა ამისა გერმანიის ყველა კოლონია უნდა გადანაწილებულიყო გამარჯვებულ სახელმწიფოებს შორის. რუსეთ-გერმანიის დაახლოების ნიშნად რუსეთსა და გერმანიას შორის ყალიბდებოდა პატარა სახელმწიფოები. მთავარ სიახლეს წარმოადგენდა ერთა ლიგის შექმნა. ერთა ლიგას უნდა უზრუნველყო მშვიდობა და სტაბილურობა მსოფლიოში. ვერსალის სისტემამ 20 წელზე მეტ ხანს ვერ იარსება, რადგან ზედმეტად ილუზიური იყო. იაპონიის მილიტარიზაციამ, გერმანიაში ნაციზმის გაბატონებამ და იტალიაში ფაშიზმის გამარჯვებამ და ერთა ლიგის დაშლა

გამოიწვია და საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი გახდა მეორე მსოფლიო ომის წინაპირობა.

4. **იალტა-პოტსდამის სისტემა** - წარმოადგენდა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ არსებული სიტუაციის დადასტურებას. მსოფლიო გაიყო ორ ბანაკად, რომელსაც ორი ლიდერი სახელმწიფო მართავდა-ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი. ამ ყველაფრის შემდეგ დაიწყო ცივი ომის პერიოდი და სისტემა ბიპოლარული გახდა. თავიდან 50-იანი წლების შუა პერიოდამდე ხისტი ბიპოლარული სისტემა იყო, შემდგომში გარდაიქმნა რბილ ბიპოლარულ სისტემად. 90-იან წლებში სოციალისტური სისტემა და საბჭოთა კავშირი დაიშალა, რაც იმის ნიშანი იყო რომ ცივი ომი დასრულდა და იალტა-პოტსდამის სისტემაც დასრულდა.

4.1 ცივი ომის შემდგომი მსოფლიოს სხვადასხვა ხედვა

ცივი ომის დასრულების შემდეგ საერთაშორისო სისტემის და მსოფლიო პოლიტიკის მრავალფეროვანი კოლაჟი სხვადასხვანაირი დასკვნების გაკეთებას ხდის შესაძლებელს. თეორეტიკოს-მკვლევართა დიდი რიცხვი მიეკუთვნება ლიბერალ-ოპტიმისტების ჯგუფს, ისინი საერთაშორისო სისტემაში მსოფლიოს განვითარების დიდ შანსს ხედავენ და ამტკიცებენ რომ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვალა და უფრო ბედნიერი ეტაპი დადგა.

რეალისტებს მიეკუთვნება საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც თვლის რომ მსოფლიო ისევ მძიმე მდგომარეობაშია, ხოლო რადიკალებს მიეკუთვნებიან ისინი, ვინც ამბობენ, რომ საერთაშორისო წესრიგი ადრინდელივით არასტაბილური და არათანაბარია.

ცივი ომის დასრულების შემდეგ ჩამოყალიბებულ საერთაშორისო სისტემებზე და მსოფლიოში არსებულ სიტუაციებზე განხილული ამა თუ იმ მოსაზრებების მიხედვით ნათელია, რომ არცერთი მათგანი არ შეიძლება ჩაითვალოს ჭეშმარიტ ცნებად, თუმცა არცერთი მათგანი არ არის არც ცდომილება. ასეთი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების მიზეზად სახელდება ის ფაქტი, რომ საერთაშორისო სისტემა უდაოდ ძალიან რთული ფენომენია.

4.2 გლობალიზაცია და ცივი ომის შემდგომი წესრიგი

ყოველი ისტორიული პერიოდი ხასიათდება კონკრეტული საერთაშორისო წესრიგით, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკურ ძალებს შორის თანასწორობას და შესაფერის საერთაშორისო წესრიგს. წესრიგის ჩამოშლა გამოიწვევს ძალთა დისბალანსს და სისტემის დანგრევას. ცივი ომის საერთაშორისო სისტემა 90-იან წლებში დაიშალა, ამ ყველაფრის ფონზე გაურკვეველია რა ნიშან-მახასიათებელი გააჩნია ცივი ომის შემდგომი პერიოდის წესრიგს.

ამ შეკითხვაზე პასუხი თითქმის არ არსებობს, რადგან ჯერ საბოლოოდ არ ჩამოყალიბებულა ცივი ომის შემდგომი საერთაშორისო წესრიგი და შედეგებიც ჯერჯერობით უცნობია. ერთადერთი რაც დაზუსტებით ნათელია არის ის, რომ დღესდღეობით არსებული საერთაშორისო მდგომარეობა სრულიად განსხვავებულია წინა პერიოდის სიტუაციისგან.

წინა პერიოდის საერთაშორისო სისტემები მიზანდ ისახავდა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების მოგვარებას და მათ მთავარ ამოცანას საერთაშორისო უსაფრთხოება წარმოადგენდა. ახლა კი მდგომარეობა გაურკვეველია.

თანამედროვე წესრიგის ელემენტები

საერთაშორისო წესრიგს, რომელიც ცივი ომის დასრულების შემდგომ დამკვიდრდა, ახასიათებს გარკვეული თავისებურებანი და ეს თავისებურებები გულისხმობს შემდეგს.

1. **სოციალური სახელმწიფოების სისტემა** - ამჟამინდელი სახელმწიფოების სტრუქტურა თავისთავად სოციალურია, ვინაიდან წინა პერიოდებისგან გასხვავებით თანამედროვე სახლმწიფოებს მრავალი სოციალური ფუნქცია აკისრია;
2. **ერი-სახელმწიფო და იდენტურობა** - იდენტურობა გულისხმობს მოქალაქეობის ბუნებას და განსაზღვრავს ვის შეუძლია იყოს ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქე;
3. **უსაფრთხოება და პოლარულობა** - დღევანდელ უსაფრთხოების სისტემას ახასიათებს უნიპოლარულობა. ამასთანავე მთავარი მახასიათებელია უშიშროების მობილიზება;
4. **გაცვლა და წარმოების ორგანიზაცია** - თანამედროვე სამყაროში საერთაშორისო წესრიგის ერთ-ერთი მახასიათებელია ასევე ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რაც უზრუნველყოფს საფინანსო და სავაჭრო სფეროების უსაფრთხოებას;

5. **მმართველობა და მულტილატერალური მართვა** - ცივი ომის დასრულების შემდეგ ძალიან მომრავლდა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები რაც იმის ნიშანია, რომ თანდათან მკვიდრდება საერთაშორისო მმართველობა. ეს ორგანიზაციები უზრუნველყოფენ სამართლის დაცვას, კულტურული და ეკოლოგიური საკითხების მოგვარებას;
6. **ლიბერალური სამართალი** - ეს სიტემა გულისხმობს ადამიანების უფლებების დაცვას დასავლური ხედვებიდან გამომდინარე;
7. **რეგიონალიზმი** - თანამედროვე წესრიგის კიდევ ერთი მთავარი მახასიათებელია რეგიონალიზმი. ის ერთი მხრივ მიანიშნებს რომ გლობალიზაციის ხელშემწყობია რეგიონული ინსტიტუტების გაფართოვება და მეორე მხრივ კი ეწინააღმდეგება ამ მოსაზრებას და თვლის, რომ რეგიონული ინსტიტუტების განვითარება გამოიწვევს მსოფლიოს რეგიონებად დაქუცმაცებას, რაც გლობალიზაციის პროცესზე უარყოფითად აღინიშნება მომავალში;
8. **ორი მსოფლიო წესრიგი** - თანამედროვე პერიოდის კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს სამხრეთსა და ჩრდიოლოეთს შორის არსებული განსხვავება. არსებობს ორი წესრიგი, ჩრდილოეთის წესრიგი და სამხრეთის წესრიგი. ანუ ბირთვის და პერიფერიების წესრიგი.

საზოგადოების დიდი ნაწილი თვლის, რომ თანამედროვე საერთაშორისო სისტემები გლობალიზაციის წყალობით წარმოიშვა და ყალიბდება, როგორც მსოფლიო წესრიგი, რამაც შეიძლება სამომავლოდ სრულიად ახალი წესრიგი წარმოშვას. გლობალიზაცია მთავარი დამაკავშირებელი რგოლია თვითონ ცივ ომსა და მის შემდგომ ჩამოყალიბებულ საერთაშორისო სისტემებს შორის.[3] [5, 295-305].

[3] დავითაშვილი ზ., ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. თბ. 2003, 295-305 გვ.

დასკვნა

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ ნაშრომში ყურადღება გავამახვილეთ და გავაანალიზეთ ის პროცესები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ პერიოდს მოჰყვა. განვიხილე თუ რამდენად ეფექტური იყო ახალი საერთაშორისო სისტემა და საზოგადოების რა ნაწილისთვის იყო სახარბიელო და რა ნაწილისთვის უარყოფითი შედეგების მომტანი.

აღსანიშნავია, რომ ხაზი გავუსვით ორპოლუსიანობის პერიოდს და შევაფასეთ ორი ზესახელმწიფოს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის როლები მსოფლიო პოლიტიკაში, ასევე აღვწერეთ მათ შორის დაძაბულობის და პირიქით შედარებით დალაგებული ურთიერთობების ეტაპები.

და ბოლოს, საუბარი გვქონდა ცივი ომის პერიოდზე და ცივი ომის დასრულების შემდგომ პერიოდებზე, თუ რა ვითარება იყო მსოფლიოში ამ დროს და რა პროცესები მოჰყვა თან ამ მოვლენას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბაშიძე ზ., ცივი ომი. 2009 წ., 21-32 გვ;
2. დავითაშვილი ზ., ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. თბ. 2003, 295-305 გვ;
3. დავითაშვილი ზ., გეოპოლიტიკა ცივი ომის პერიოდში. ხელმისაწვდომია: file:///C:/Users/NINO/Downloads/Paradigma-2%20(1).pdf;